

საპრეზიუმელო

საორტული გაჯეთი საფაბათი 17 ი36ისი 2008 №137 (3361)

ფასი 50 თეთრი

აბგდეჰ იტალია და რუმინეთი ანბანსაც შეჰყურებენ

თუკი დღეს „სიკვდილისად“ ნოდებულ ჯგუფში ჰოლანდია რუმინეთს დაამარცხებს, რაც სავსებით რეალური ვარიანტია, ხოლო იტალია და საფრანგეთი ფრედ ითამაშებენ, რაც ასევე რეალურია, გვარიანად ჩახლართულ ვითარებას მივიღებთ: სამ გუნდს — რუმინეთს, იტალიას და საფრანგეთს — ორი-ორი ქულა დაუგროვდება და მათგან მეოთხედფინალში გამსვლელის გასარკვევად დამატებითი კრიტერიუმების გამოყენება გახდება საჭირო.

პირველ რიგში დებულების შესაბამის პუნქტს ჩავხედოთ, რომელიც გვამცნობს:

7.07 ჯგუფის მატჩების დასრულების შემდეგ თუ ორი ან მეტი გუნდი თანაბარ ქულებს დააგროვებს, მათ შორის ადგილები შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით განაწილდება:

- ა) ამ გუნდების ურთიერთშეხვედრებში ქულების რაოდენობა;
- ბ) ამ გუნდების ურთიერთშეხვედრებში ბურთების სხვაობა;
- გ) ამ გუნდების ურთიერთშეხვედრებში გატანილი მეტი გოლი;
- დ) ბურთების შეფარდება ჯგუფის ყველა მატჩში;
- ე) გატანილი გოლების რაოდენობა ჯგუფის ყველა მატჩში;
- ვ) უკეთესი კოეფიციენტი (2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის, 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის და ევროპის ჩემპიონატის მიხედვით);
- ზ) ფეიერ პლეის კოეფიციენტი ფინალურ ეტაპზე;
- თ) ნილისყრა.

განსახილველ ვარიანტში „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების მიხედვითაც სრული თანაფარდობაა, ამიტომ „გ“ ქვეპუნქტზე გადავიდეთ და კონკრეტული შედეგები გავარჩიოთ: თუ რუმინეთი დამარცხდა, ხოლო საფრანგეთმა და იტალიამ 1:1 ან მეტგოლიანი ფრე ითამაშეს, ჯგუფიდან მეორე ადგილით იტალია გადის.

იმ შემთხვევაში კი, თუ საფრანგეთი — იტალია 0:0 დასრულდა, რუმინეთს და იტალიას „ბ“ ქვეპუნქტით სრული თანაბრობა ექნებათ და შესაბამისად, „დ“ ქვეპუნქტი ამოქმედდება.

ამ ვარიანტში, თუკი რუმინეთი ერთი ან ორი ბურთით წააგებს, მეორე ადგილიც მას დარჩება, ხოლო დიდი ანგარიშით წაგების შემთხვევაში მეორეზე იტალია გავა.

არის ერთი ვარიანტიც, თუ რუმინეთმა 0:3 წააგო. მაშინ რუმინეთს და იტალიას „დ“ ქვეპუნქტითაც თანაბრობა ექნებათ და უკვე „ე“ ქვეპუნქტი ამოქმედდება, თუმცა 0:3-ის შემთხვევაში რუმინეთი და იტალია ისევ თანაბრად არიან.

აი, ამის მერე კი მივადგებით „ვ“ ქვეპუნქტს, რომლითაც უპირატესობა „სკუადრა აძურას“ მხარესა, რაკი კოეფიციენტით მსოფლიოს ჩემპიონი რუმინეთს ჯობნის.

აი, ასეა, საქმე აქამდეც კი შეიძლება მივიდეს.

გერმანიაში სასწაული ვენაში არ შეუშვა




ავსტრია 0:1 გერმანია

მეოთხედფინალი

სლოვატია — თურქეთი
პორტუგალია — გერმანია
ჰოლანდია — შვედეთი ან რუსეთი
ესპანეთი — რუმინეთი, იტალია ან საფრანგეთი



პოლონეთი 0:1 სლოვატია



ობიექტი

ქართული
ფეხბურთი

აი, ასე ისვენებდნენ გერმანელი გულშემატკივრები ავსტრიასთან მატჩის წინ, მერე გულიანად რომ ექომაგათ თავისიანებისთვის.

ემზადებოდნენ ხორვატებიც, რაც ძნელი საქმეა: სახეზე საჭადრაკო დაფის დახატვას სიზუსტე სჭირდება.

შვეიცარიელები კი მობურთალობა ბანერით გამოემშვიდობნენ ჩემპიონატს.

თურქთა მწვრთნელი ფათიჰ თერიმი სასწაულით შემორჩა ევროს, ოღონდ ეგაა, ბოდიგარდების გარეშე ნაბიჯსაც არ ღვამს.

საქმე მიეცა პოლიციასაც: ესპანელთა ვარჯიშისას კამერები მოუმარჯვებით, მერე კი სახლში შვილებს აჩვენებენ, აი, ამათ სიმყუდროვეს ვიცავდითო.

